სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (მუხლი 25), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (QA) მთავარი ფუნქციაა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის შეფასება და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწმდება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამები;
ბ) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა;
გ) სასწავლო პროცესი;
დ) ადმინისტრაციული პერსონალი და უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურა;
ე) განვითარების გეგმის ორგანიზაციული სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის QA მუშაობის ძირითადი პრინციპები გამომდინარეობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთო პრინციპებიდან - PDCA

P – plan -დაგეგმე
D –do - განახორციელე
C – check - შეამოწმე
A – act - მოახდინე რეაგირება

ხარისხის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება შიდა და გარე მექანიზმები.

1. **გარე შეფასების** ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ თვითშეფასების კითხვარის შემოწმება.
2. **სასწავლო პროცესის შიდა საუნივერსიტეტო შეფასება უნივერსიტეტის** საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების, ხარისხის უზრუნვეყოფის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია და მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად;

- უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის ადგენს შეფასების კრიტერიუმებს, რომლის მეშვეობითაც ყოველწლიურად ახორციელებს შიდა შეფასებას და მათ საფუძველზე იძლევა პროგრამის სრულყოფის, მოდიფიცირებისა და განახლების თაობაზე რეკომენდაციებს.
- უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და სასწავლო პროცესში ჩართული

პერსონალის შეფასებასა და მონიტორინგს შემდეგი საშუალებებით:

ა) აკადემიური პერსონალის ყოველწლიური სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის მონიტორინგით;

ბ) არსებული კითხვარით სტუდენტთა ყოველწლიურად გამოკითხვის ორგანიზებით;

გ) სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით, შიდა საუნივერსიტეტო სამუშაო კონფერენციების ორგანიზებითა და უცხოური პრაქტიკის გაცნობის ხელშეწყობით.

3. **საგანამანათლებლო პროგრამების შიდა შეფასებისათვის:**

ა) შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის ინსტრუქციებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესამაბისად;

ბ) პროგრამის თვითშეფასების მიზნით შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას;

გ) სასწავლო წლის დაწყებამდე ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას;

დ) საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასებას ახდენს ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახური;

4.სასწავლო პროცესის და სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის შიდა შეფასება ხორციელდება სტუდენტების ანონიმური გამოკითხვის გზით კითხვარების საშუალებით .

5. აკადემიური პერსონალის ხარისხის შეფასება ხორციელდება სწავლების კომპეტენციით და სამეცნიერო მოღვაწეობით, საკონკურსო წესით დადგენილი კრიტერიუმებით.

6. აკადემიური პერსონალის სწავლების კომპეტენციის დადგენისას გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

ა) სილაბუსის წარმოდგენა;

ბ) სწავლების და შეფასების სწორი მეთოდების გამოყენება;

გ) ცოდნის გადაცემის უნარის შემოწმება;

დ) სტუდენტის სამართლიანი შეფასება;

ე) დარგობრივი კომპეტენციების ცოდნა, ანუ წასაკითხი საგნის ცოდნა, კურსის მართვა, კონსულტაციების გამართვა.

7. აკადემიური პერსონალის სწავლების კომპეტენციის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

ა) სილაბუსის შემოწმება.
ბ) აკადემიური პერსონალის ლექცია-სემინარებზე დასწრება;
გ) შეფასება სტუდენტის მიერ;
დ) სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი;

8. სასწავლო პროცესის უმთავრეს ინდიკატორს წარმოადგენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, რომლის ანალიზის შედეგად უნდა დადგინდეს:
ა) საგანმანათლებლო პროგრამის და ცალკეული საგანმანათლებლო კურსების სირთულის ხარისხი და დონე;
ბ) შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;
გ) აკადემიური პერსონალის პედაგოგიური უნარ-ჩვევები;
დ) სტუდენტების სწავლის შედეგები.

9. აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზის შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

10. აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი ხდება სტუდენტთა შეფასების რანჟირების სისტემით:

A- 10%
B- 25%
C- 30%
D- 25%
E- 10%

11. სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვის ორგანიზებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარი აკადემიური პერსონალის და საგანმანათლებლო კურსის შეფასებისათვის.